პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბრძოლა

ფასი 3 კაპ.

პირველ და მეორე ქართულ მსროლელ დივიზიების პოლიტგანყოფილების ORGANO

წელიწადი მეექვსე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლუნაჩარსკის (ყოფ. ევანგულოვის) ქუჩა № 2.

დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია უკან არ აბრუნებს.

ხელის მოწერის პირობები:
ცალკე ხელის მომწერთათვის
1 თვით—35 კ., 3 თვით— 90 კაპ.
6 თვ—1 მ.70 კ. 12 თვ.—3 მ. 20 კ.
წითელ არმიელებისათვის
კოლექტიური ხელის მოწერა:
1 თვით—30 კ. 3 თვით—80 კაპ.
6 თვით—1 მ. 50 კ. ერთი წლით 3 მან.
განცხ. ფასი 1 გვ.—80 კ. სტრ.
მე-4-ზე—40 კ.

121 (1116) | კვირა, 6 ივნისი 1926 წ. | 121 (1116)

რა სთქვა პლენუმმა?

დასრულდა ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის პლენუმი. ამ პლენუმმა ჩვენ მოგვცა გარკვეული ცოდნა იმ მთავარ საკითხებზე, რომლებიც იდგა პარტიის წინაშე. ხოლო თუ რა სთქვა ზუსტად პლენუმმა და რაში ითხოვა ბოლოდ მისი პასუხი იმ მთავარ საკითხებზე, რომლებიც იდგა ამ უკანასკნელ პერიოდში ჩვენი პარტიის წინაშე—ამის შესახებ ჩვენ გვსურს შევაჩეროთ ყურადღებანი მკითხველის ყურადღება.

ჯერ-ელ-ად პლენუმმა მოიწონა ცეკას პრეზიდიუმის მოხსენება, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სასოფლო-მეურნეობის აღორძინებისაკენ.

ამ მხრივ პარტიის ცეკას პრეზიდიუმმა არა ერთი და ორი სათანადო ნაბიჯები გადადგა. მაგრამ მომავალი მუშაობისათვის ცეკას პლენუმმა დავალა მეტი ხელმძღვანელობა გაწიოს ამ დარგში, რომელიც უნდა გამოიხატებოდეს სათანადო დირექტივების მიცემაში და აგრეთვე პარტორგანიზაციების გადაწყვეტილებათა ორად გატარების სისტემაზე კანტროლში.

პლენუმის მიერ ერთხელ კიდევ ხაზგასმით იყო აღნიშნული მომეჩვენებლობის რეჟიმის ორად და მტკიცედ გატარებადი დიდი ყურადღების ცალკევა და მან ცეკას დავალა კომპანიის სათანადოდ ჩატარება. გარდა ამისა, პლენუმმა ითხოვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ქსელის განთავრების აუცილებლობა, ეკონომიურ მეურნეობათა, რაც საშუალებას მეტი რაოდენობით ეცემოდეს ადგილი და ამ საკითხზე სათანადო მოგვარებისათვის პლენუმმა გამოიმუშავა მიზანშეწონილი დადგენილებანი, რომელიც ცეკამ ცხოვრებაში უნდა გაატაროს.

შემდეგ პლენუმმა განიხილა საკითხი, მომავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ კომპანიის ჩატარება უნდა მოხდეს ღარიბ გლეხობის ინტერესების მეტი უზრუნველყოფით და თვის მხრივ პარტიულ ორგანიზაციებს დავალა, რომ მან გააცნოს გლეხობის ფართე მასას ამ ახალი გადასახადის შინაარსი და ამ მხრივ უნდა შესძლოს გადასახადის სრულიად და უმტკივნეულოდ აკრეფა.

აგრეთვე პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილება მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის შესახებ, ხოლო რაც შეეხება პარტიულ საკითხებს, ამ მხრივ პლენუმმა აღნიშნა ის ლტოლვა პარტიისადმი, რომელსაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელ ხანებში.

პლენუმმა აღნიშნა პარტიის რიცხობრივი ზრდა მოსამსახურეების და გლეხობის ხარჯზე და მიიღო გადაწყვეტილება მოსამსახურეთა მიღების შეზღუდვის და პარტიაში შემავალ გლეხობისადმი საჭირო სიფრთხილის გამოჩენის შესახებ. ხოლო მეორე მხრივ პლენუმმა საჭიროთ სცნო პარტიული მუშაობის გაძლიერება იმ უპარტიო მუშებს შორის, რომლებიც უშუალოთ დაზგასთან იმყოფებიან. აგრეთვე პლენუმმა მსჯელობა იქონია კომკავშირის რიცხობრივ ზრდაზეც და აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიამ მეტი ხელმძღვანელობა გაუწიოს კომკავშირს, მისი თვისობრივ გაუმჯობესების თვალსაზრისით.

ეი ყველაზე უფრო მთავარი საკითხები, რომლზედაც მსჯელობა ქონდა ჩვენი პარტიის ცეკას უკანასკნელ პლენუმს ჩვენ კი უსურვებთ და მოუწოდებთ ადგილობრივ ორგანიზაციებს ცეკას პლენუმის დადგენილებათა მტკიცეთ გატარებისაკენ.

ინგლისის კომპარტიის ცეკას პლენუმი გაფიცვების შესახებ.

ინგლისის მუშათა კლასის გაფიცვებმა საგრძნობლად შეაფოთა ინგლისის ბურჟუაზია. ითვის ცხადია, არ იყო ეჭვიმოვნო გაფიცვები. იმთა ოგათ იციან, რომ გაფიცვები თუ უფრო რევოლიუციონერ ხასიათს მიიღებდა, მაშინ ინგლისის ბურჟუაზიას სიკვდილი მოელოდა. მაგრამ მათ ისე ეგონეთ საქმე, რომ ამ გაფიცვებმა „დაჯარგეს“ რევოლიუციონური სახე.

ამისი უმთავრესი მიზეზი უნდოდა ეფიქროთ სწორეთ იმაში, რომ მაკდონალდის და მისი ბანდის მეთაურობამ ამ საქმეში ყოველგვარი რევოლიუციონერობა განზე დასტოვა. მაკდონალდი ამ ჟამთ გულახდილათ ამბობს: „საყოველთაო გაფიცვა არ შეიძლება სამრეწველო ბრძოლის იარაღათ იქნეს გამოყენებული. როგორც იარაღი, ის უვარგისია. ის უსარგებლოა, ვინაიდან მას არ აქვს ისეთი მიზანი, რომ მისი განხორციელება გამარჯვებათ ჩაითვლოს. თუ ბრძოლა იმიტომ სწარმოებდა, რომ ის გაფიცვით დამთავრებულიყო, ეს არღვევს ტრედიუნიონიზმსო.“

როგორც ეხედავთ, თვით „პატიცემული“ მისტერ მაკდონალდი, არსებითად უარყოფს გაფიცვას და ცხადია ამდენათვე მან იმთავითვე ხელი შეუწყო მისი დამარცხებას და ამით ინგლისის ბურჟუაზიული მთავრობას საგრძნობი სამსახური გაუწია.

მისი ასეთი გამცემლობას სათანადოთ აკრიტიკებს და დღიურ სიცხადეზე გამოყავს სოციალ—გამცემლების მუშაობა გაფიცვების ჩაშლისათვის—ინგლისის კომპარტიის ცეკას პლენუმს.

პლენუმი გადაჭრით აცხადებს, რომ თუ გაფიცვებმა არ მიიღო რევოლიუციონური სახე ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „მართალია მუშების განწყობილება უადრესად მტკიცე იყო, მაგრამ ხელმძღვანელობა კი მეტად სუსტი დარჩაო.“

ხელმძღვანელობა კი იმიტომ იყო სუსტი, რომ ხელმძღვანელები მაკდონალდის მეთაურობით გამცემლები იყვნენ.

ამიტომ პლენუმი მოუწოდებს მუშებს კვლავ ახალი ბრძოლისათვის მზადებისაკენ და შორს არ არის ის დრო, როდესაც სოციალ—გამცემლები წარსდგებიან მუშათა სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებენ მუშათა კლასის ღალატისათვის.

დიახ! მათ სასტიკ პასუხს მოსთხოვენ.

—ი.

ინგლისის მაღაროელების მეპატრონეები სცდილობენ უთანხმოება ჩამოაგდონ მაღაროელების მუშათა გელადებში.

გერმანელ სამთამადნო მუშათა კავშირი ხელს უშლის ინგლისში ქვანახშირის გატანას.

მსხვილი მრეწველები მოითხოვენ მაღაროელების მეპატრონეებისაგან მუშებთან მოლაპარაკების განახლებას.

მაღაროელების მეპატრონეთა ხრიკები ვერ გასჭრის.

მაღაროს მუშათა ფედერაციის ბიურომ მიიღო მემაღაროეთა ასოციაციის თავმჯდომარის ვილიამსისაგან წერილი, რომელიც გამოგზავნილია ფედერაციის თავმჯდომარე სმიტის სახელზე.

ამის შესახებ კუკმა განაცხადა:

„მაღაროს მეპატრონეებმა კარგად იციან, რომ მთელი მაწერ-მოწერა, რომელიც შეეხება ნახშირის წარმოებაში მომხდარ კონფლიქტს, უნდა გადიოდეს ჩემს ხელში და არა ვინმე სხვისა. მე ეჭვი მეპარება, რომ მაღაროების მეპატრონეთა ამ გამოსვლას განზრახვა აქვს წაიჩხუბოს ორი თანამდებობის პირი, რომლებიც მონაწილეობას დებულობენ კონფლიქტში. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა 1925 წლის ივლისში, რის შემდეგ სმიტმა ფედერაციის დავალებით აუწყა მაღაროს მეპატრონეებს, რომ მომავალში ყოველგვარი მიწერ-მოწერა მაღაროს მუშების საქმის შესახებ მათ აწარმოონ ფედერაციის მდივანთან.

მრეწველები მოითხოვენ

მუშათა პარტიის წრეებში ფიქრობენ, რომ მემაღაროეთა წინადადება ფედერაციისადმი მოლაპარაკების განახლების შესახებ გამოწვეულია მსხვილი მრეწველების მოთხოვნით, რომლებსაც გაფიცვები დიდ ზარალს აძლევს ყოველდღიურად.

ბრიუსელის თათბირი

ბრიუსელში გაიხსნა მთამადნელ საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელიც მოწვეული იქნა ინგლისის მთამადნელ მუშათა გაფიცვების გამო.

ინგლისის მთამადნელ მუშათა ფედერაციიდან სხდომაზე მივიდენ: სმიტი, კუკი, რიჩარდსონი და აგრეთვე ინგლისის მთამადნელ მუშათა ყოფილი ლიდერი ფრანკ ხოდჯესი, რომელიც ამჟამად ითვლება მთამადნელ მუშათა საერთაშორისო ფედერაციის მდივნად.

ომური დახმარება

გერმანელ მთამადნელ მუშათა კავშირის ორგანო „ბერკარბეიტერ ცეიტუნგი“ აცხადებს მოწოდებას გერმანელ მთამადნელ მუშებისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ მათ ხელი შეუშალონ ინგლისში ქვანახშირის გატანას და ნუ იმუშავებენ ზედმეტ საათებს.

მშვიდობიანური შერიგებისაკენ

4 ივნისს შესდგა ინგლისის ლიბერალური პარტიის საპ. ფრაქციის სხდომა, რომელსაც დაესწრო 34 დეპუტატი.

სხდომაზე გაიმართა დიდი კამათი ლოიდ ჯორჯსა და ლორდ ოკსფორდელის (ასკვიტი) შორის მომხდარ კონფლიქტის გამო. კრების უმრავლესობა იყო ლოიდ ჯორჯის მხარეზე, მაგრამ უკანასკნელმა არ ინდომა რაიმე დადგენილების გამოტანა მის სასარგებლოდ. მან წინადადება შეიტანა არჩეული ყოფილიყო ასკვიტთან გასაგზავნთ დელეგაცია, რომელიც მოსთხოვს ასკვიტს, ხელი შეუწყოს პარტიაში მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარებას.

ეიშს დიდი თვალები აქვს

ინგლისის მთავრობამ აიძულა ეგვიპტის ნაციონალისტების ბელადი—ზაგლულ-ფაშაური განეცხადებინა პრემიერის კანდიდატურაზე. ამის გამო მთავრობის პრესას შეესუბუქებლად მიაჩნია მდგომარეობა ეგვიპტეში, მაგრამ ამავე დროს პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საშიშროებას ჯერ კიდევ არ გაუვლია სამოლოოდ, რადგანაც ადელი ფაშის პოზიცია, რომელიც მდგომარეობის ბატონია და ამავე დროს იმყოფება ზაგლულ ფაშის გავლენის ქვეშ, „შეიძლება არ დარჩეს დამაკმაყოფილებელი“.

თავხედური მოთხოვნა

გაზ. „ფინანშელ ტაიმსი“ ეგვიპტეში შექმნილი მდგომარეობის გამო სწერს:

„ჩვენი ინტერესები ეგვიპტეში ძალიერ დიდია, რომ დავინდოთ, რომელიმე პოლიტიკური მოდგაფის ნებას, რაც არ უნდა დიდი იყოს ის უმრავლესობა, რომელიც მხარს უჭერს მას.

ინგლისი არაფრით არ დასთმობს მისთვის დიდ ღირებულების მქონე უფლებას, რათა მან კანტროლი გაუწიოს ეგვიპტის საგარეო ურთიერთობას და ჩვენი იმპერიის სამიმოსვლო გზის ერთ უმთავრეს რგოლს“.

საქართველოში.

ახალი ქიმიური ქარხანა

ქუთაისის სამთო ქიმიურ კომბინატმა დაადგინა გახსნას ქ. ქუთაისში ქიმიური ქარხანა და ბარიტის საფქვავი წისქვილი. ქარხანა აგებული იქნება კახიანურში მთავარ რკინის გზის ლინდაგიდან ქარხნამდე გაიყვანება ჩიხი. ბარიტის საფქვავი წისქვილი აიგება ქარხნის გვერდით.

ქვანახშირის გატანა

5 ივნისს ფოთში მოვიდა „სოფტორგ ფლოტის“ გემი „ელბრუსი“, რომელმაც მოიტანა ამიერ-კავკასიის საქიროებისათვის 819,020 კილოგრამი ცემენტი.

ამავე დღეს გავიდა „სოვტორგფლოტის“ მეორე გემი „პეტრე სტარუსტინი“ ფოთიდან, რომელმაც თან წაიღო ნოვოროსიისკის ცემენტის ქარხნის საჭიროებისათვის 574.319 კილოგრამი ტყიბულის ქვანახშირი.

ავადმყოფობის შემთხვევები.

ქუთაისის ჯანმრთელობის განყოფილების მიერ მაისის თვის განმავლობაში აღრიცხულია ქუთაისის მაზრაში 31 წითელი ავადმყოფობის შემთხვევა, 12 დიფტერიერით 32-გრიპით, 82-ტიფით, 12-ვენერიული სნეულებით, 830-მალარიით, 56-ცოფიანი ძაღლის კბენის შემთხვევები. გასულ წელთან შედარებით ცოფიანი ძაღლის ნაკბენთა რიცხვი მეტია 5—6 შემთხვევა.

ძალიერ გაიზარდა წითელითა და დიფტერიერით დაავადმყოფების შემთხვევები. საგრძნობლად შემცირდა ტუბერკულოზით, ვენერიული ავადმყოფობისა და სხვა შემთხვევები.

ვინ იქნება შემდეგი

გაზ. „წითელ არმიელის“ არსებობა აუცილებელია ქართული წითელი ჯარისათვის. მისი საშუალებით პირველად ეცნობა ჩვენი გლეხური ახალგაზრდობა პრესას და მასში მუშაობით იძენს მომავალი საზოგადოებრივი მუშაობისათვის საჭირო ცოდნასა და გამოცდილებას. ის ჩვენი გზის მანათობელი ჩირაღდანია წითელ არმიაში წარმოებულ სამხედრო პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში.

გაზ. „წითელ არმიელი“ ამზადებს სოფლკორებსა და მუშკორების მომავალ კადრს.

სწორედ ამიტომ მეექვსე ლეგ. 6 სე უჯრედმა იქონია რა მხედველობაში, თუ როგორი მატერიალური სივიწროვის წინაშე სდგას ჩვენი გაზეთი, რამაც გამოიწვია მისი ყოველ დღიური გამოცემიდან კვირაში სამჯერ გამოცემაზე გადასვლა, დაადგინა: უჯრედის წევრ პარტ-უფ-პოლიტშემადგენლობის ჯამაგირებიდან გადაიდოს სამ-სამი მანეთი—სულ 42 მანეთი და ამ თანხებით გამოიწეროს გაზ. „წითელ არმიელი“ ამავე ლეგიონის მე-2 ათასეულის წერტილზე მოწყობილ სამხედრო კუთხეებს.

უჯრედი ამავე მიზნით იწვევს მე-6 ლეგიონიდან 1,5 და 7 უჯრედებს;

მე-3-თე ლეგიონიდან—1,2 და 4 უჯრედებს;

მე-4 ხე ლ ეგიონიდან—3,4 და 5 უჯრედებს ხოლო 1-ლი ლეგიონიდან კი—1,2 და 3 უჯრედებს.

იმედია გამოგვეხმაურებიან ეს უჯრედები, გამოიწერონ გაზ. „წითელ არმიელს“ და ხელს შეუწყობენ, როგორც მისი გავრცელების საქმეს, ისე მატერიალურად უზრუნველყოფას.

დავალებით გ. ჭელიძე.

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კვირაა რაც გაიხსნა კიდევ მეშაობის და მოწყობის პროცესშია. თანდათან მდიდრდება სხვა და სხვა საინტერესო ექსპონატებით. მუშაობა სწარმოებს მეტად სწრაფად. თანდათან ეწყობა „ფორელის“ და სხვა პავილიონები.

გუშინ აიწყვეს საბჭოთა კავშირში პირველად შემოტანილი 16 ადგილიანი ავტობუსი „ინტერნაციონალის“ ფირმის. (ამერიკა). ეს ავტობუსი თავისი შინაგანი მოწყობილობით აკმაყოფილებს მგზავრების ყოველგვარ მოთხოვნილებებს. გარდა „ინტერნაციონალის“ ფირმის ავტომობილისა, ნაჩვენები იქნებიან ტრაქტორები, საცეხვი მანქანები და მრავალი სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

გერმანული ფირმები „სელმაშისა“ და „შუკერტის“ მიერ ნაჩვენები იქნა პირველად „ამერ კავკასიაში ავტო—ფურგონების მუშაობა, რომლებიც აბრუნებდენ და სხარტდენ, ფშვნიდენ მიწას სამ მეოთხედ არშინის სიმაღლეზე.

მნახველების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლენინის დასამუშავებელი „ზეიტც“-ის ფირმის მანქანები, რომლებითაც განუწყვეტლივ აჩვენებენ საქაჩი მილების მუშაობას და მრავალი სხვა.

გამოფენას მრავალი ხალხი ნახულობს. ამერიკელი ფირმების პავილიონების გახსნის შემდეგ ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

ორშაბათიდან გამოფენაზე მიელიან გლეხთა სისტემატიურ ექსკურსიებს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებიდან, რომლებიც დაწერილებით გაეცნობიან გაუმჯობესებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს.

შმერლინგი.

ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

დავაარსეთ უჯრედის მდივნების სემინარი

ცხენ. ლეგიონი

დღემდე ჩვენს ლეგიონში დაარსდა უჯრედის მდივნების მოსამზადებელი სემინარი, რომლისთვისაც ლეგ ბიუროომ გამოიყო სათანადოთ მომზადებული ამხანაგები, რომლებთანაც პირველ ივნისიდან დაიწყება მეცადინეობა.

ამნაირათ თუ დღემდე ჩვენი ლეგიონი ამ მხრივ მოიკოჭლებდა მომავლში ჩვენ გვეყოლება სათანადოთ მომზადებული ამხანაგები უჯრედში საბუშაოოდ, რომლებიც მტკიცეთ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას.

ზ—ლი.

ახ. ლ.კ.კ. უჯრედის მუშაობა მე-5 ლეგიონში.

29 მაისს, შესდგა ლეგიონის მაშტაბით კომკავშირელი წითელარმიელთა საერთო კრება.

დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი: ლეგიონის კომკავშირის უჯრედის მუშაობის ანგარიშების და ახალი უჯრედის მდივნის არჩევის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა უჯრედის მდივანი. მომხსენებელი ვრცლათ შეეხო იმ მუშაობას, რომელიც უჯრედმა გაკეთა ამ ერთი წლის განმავლობაში.

მომხსენებელმა სხვათა შორის აღნიშნა ის ლტოლვა კომკავშირისადმი, რომელსაც ადგილი აქვს წითელარმიელთა მასაში და რაც იმის დამამტკიცებელია, რომ კომკავშირის ავტორიტეტმა საგრძნობ-უჯრედის ახალ მდივანს, რომ მან სათანადო ყურადღება მიაქციოს უპარტიო წითელარმიელთა მასის კომკავშირში ჩართვის საკმეს და აგრეთვე ლათ აიწია წითელარმიელთა თვალში, უჯრედის სათანადო მუშაობის წყალობით. აქვე მან მოიყვანა ციფრები, რომელიც ადასტურებდა ახალ წევრთა რაოდენობის საგრძნობ ზრდას.

ამასთან ერთად მომხსენებელმა ისიც აღნიშნა, რომ ხშირი იყო შემთხვევები დისციპლინის დარღვევის და ამ მხრივ უჯრედის ბიუროო სათანადო სასჯელით უმასპინძლდებოდა ასეთ ამხანაგებსო.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიმართა კამათი. შემდეგ კი გამოტანილი იქნა რეზოლიუცია, სადაც აღნიშნული იყო უჯრედის მუშაობა დამაკმაყოფილებლად და აგრეთვე რეზოლიუციაში ხაზგასმით აღინიშნა შემდეგი: დაევალოს გაძლიერეს აქტივობა კომკავშირის წევრთა შორის.

ამის შემდეგ კრებამ აირჩია კომკავშირის უჯრედის მდივნათ ამხ. ეკონია. გოროზი.

სამხედრო სწავლება განაკში

ტანკების მოგერიება.

ტანკი მხოლოდ იმისთვის არის საშინელი, ვისაც მისი ეშინია. მართალია ის ძლიერ გამანადგურებელი იარაღია, მაგრამ ბრძოლაც არის მასთან შესაძლებელი. მეოფლიო ომის დროს ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, რომ ტყვეთ იგდებდენ ხელში ტანკებს. სამოქალაქო ომის დროსაც არა ერთი და ორი ტანკი დაატოვებია ძლევამოსილ წითელმა არმიამ დენიკინელებს და იუდენიჩის რაზმებს, რომლებიც მიიღეს მით ინგლისელებისაგან.

პოლონეთის ჯარის კაცის ჟურნალ—„ეჟოლნეკ პოლსკში“ (პოლონელი ჯარისკაცი) ამას წინად მოთავსებული იყო წერილი, სადაც აწერილია, თუ როგორ შეიძლება ტანკების წინააღმდეგ მოგერიებითი ბრძოლის წარმოება.

წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ ძნელია ტანკების წინააღმდეგ ბრძოლა, მაგრამ მაინც შესაძლებელია მათი მოგერიება. საფრანგეთ-გერმანეთის ფრონტზე 1918 წლის 8 აგვისტოდან დაწყებული 11 ნოემბრამდე, გერმანელებმა დამსხვრიეს და მოიუსპეს ბრძოლის უნარიანობა მოწინააღმდეგის 887 ტანკს.

თავის თავად ტანკა არ არის საშიში. საშიშია იმის უკან მომავალი ქვეითი ჯარი. ტანკა გლეჯს—ამსხვრევს გამაგრებულ პოზიციებს და ამნაირად უწადავს გზას თავის ქვეითა ჯარს. ამისთვის საჭიროა ვეცადოთ, რომ როგორმე შეეგიჩროთ მისი (ტანკის) მსვლელობა, გავანადგუროთ ის არტილერიის ცეცხლით და ჩამოვაშოროთ მას ქვეითი ჯარი.

ტანკის შეჩერება შეიძლება ან არტილერიის ცეცხლით—ეს იქნება აქტიური თავდაცვა, ან და სხვა და სხვა დაბრკოლებების გამოყენებით—ეს იქნება პასიური თავდაცვა.

პირველი დაბრკოლება—ტყეები, კლდოვანი მთები, ღრმა მდინარეები და ჭაობები. მართალია რენოს სისტემის მსუბუქი ტანკა (იწონის 369 ფუთს) ადვილად ლეწს 40 სანტიმეტრის სიმსხო ხეებს, მაგრამ მას შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ ბეჭხერ—თხელ ტყეში, სადაც მანძილი ხეებს შორის (მსუბუქი ტანკის სიგანე უდრის 1 მეტრსა 74 სანტიმეტრს) უდრის არა ნაკლებ 2 მეტრისა. მსუბუქი ტანკის სიმაღლე აღწევს ერთ ნახევარ მეტრამდე და მაღალი ტყე მეტად ძნელებს თვალთვალის საქმეს. მძიმე ტანკა იწონის 30-70 ტონამდე და ამსხვრევს 70 სანტიმეტრის სიმსხო ხეებს.

მდინარეები მხოლოდ მაშინ არიან ტანკისთვის გაუვალი თუ მათი სიღრმე მეტია მეტრ ნახევარზე და აქვთ ჭაობიანი ნაპირები.

ს.

რა უნდა იცოდეს თითეულმა არტილერისტმა საზაფხულო მეცადინეობისათვის

ზამთარში არტილერისტებმა შეისწავლეს მატერიალური ნაწილები და დახელოვნდენ იარაღზე მუშაობაში.

ზაფხულში მათ მოუხდებათ ქვემეხებიდან სროლის წარმოება და პრაქტიკული და ტაქტიკური მუშაობა ველში.

ამ მუშაობას მიზნად აქვს, საშვალება მისცეს თითეულ არტილერისტს წარმატებით შეისწავლოს თავისი სპეციალობა და შესძლოს საჭიროების დროს შეასრულოს ქვემეხის უფროსის მოვალეობაც კი.

არტილერიას, როგორც ძლიერი ცეცხლის გამომშვები საშვალება, ბრძოლაში ეკალება მრავალი სხვა და სხვა გვარი მოვალეობანი. მართალია, მისი უპირველესი მიზანია, დაბრკოლებებისა და მოწინააღმდეგის საფრების განადგურება, მაგრამ ბრძოლის სხვა და სხვა მომენტებში ეს მუშაობა შესდგება სხვა და სხვა ოპერაციებისაგან.

ჩვენი ნაწილების იერიშზე გადასვლის დროს, მან, არტილერიამ, უნდა განადგუროს მოწინააღმდეგის საბრძოლო საშვალებანი, დაქსაქსოს მისი რიგები და მონაწილეობა მიიღოს მოწინააღმდეგის დევნაში; დამარცხების დროს ის ზურგს უმაგრებს თავის ქვეით ჯარს და საშვალებას აძლევს მას გამაგრდეს საკუთარ პოზიციებზე.

თავდაცვის დროს მან უნდა დაიფაროს თავდამცველ ნაწილების უკან დახევა, განადგუროს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალები, საბრძოლო იარაღები და მოსპოს მისი რეზერვი.

თუმცა საბრძოლო გარემოების პირობები მოითხოვენ საათანადო მიდგომას მუშაობისადმი. არტილერისტს უნდა შეეძლოს მოქმედება მოწინააღმდეგისგან სხვა და სხვა მანძილზე დ ცილებით, ღამით, მოულოდნელი განგაშისა და ქვეითი და ცხენოსან ნაწილებთან ერთად და მრავალი სხვა.

პირველად ყოვლისა კი საჭიროა—იცოდეს მოხერხებული პოზიციის ამორჩევა, ნიშანში ამოღება და შენიღბვა.

ყველა ამ ცოდნას და უმთავრესად კი პრაქტიკულად, არტილერისტი მიიღებს საზაფხულო—საველე მეცადინეობის დროს—ბანაკში.

ჩვენი წესდება მოითხოვს არტილერისტისაგან, რომ მან ზეპირად იცოდეს თავის მოვალეობანი, შეეძლოს მათი შესაფერად მოხმარება—გამოყენება და ყოველთვის შეეძლოს როგორიც გინდათ სხვრმოლა ბრძოლის გადაწყვეტა.

ამას უნდა სცდილობდეს თითეული არტილერისტი საზაფხულო—ბანაკში მუშაობის და მეცადინეობის დროს.

ზ.

რას ფარმოადგენს ედეკვუდის არსენალი.

„ჩვენც გვემახსოვრება და მსოფლიო პროლეტარიატსაც ვეტყვით, რომ ახსოვდეთ ედეკვუდის არსენალი“.

ლ. ტროცკი.

როგორც სხვა დარგებში, აგრეთვე ქიმიურ ბრძოლის საშუალებების გამოყენების საქმეში დღეს ამერიკას პირველი ადგილი უჭირავს.

სატახტო ქალაქის ვაშინგტონის ახლო ერთ ქალაქში აგებულია ლაბარატორიების და საწყობების უამრავი რიცხვი, სადაც მზადდება საწამლავი ნივთიერებანი და ინახება მომავალი ომისათვის. ეს არის ედეკვუდის არსენალი.

ამერიკა გასულ 1914—18 წლის ომის დროს თითქო უმოქმედობას იჩენდა, მაგრამ ამ პასიობის დროს ის დიდ დაკვირვებებს აწარმოებდა და 1918 წელს დაიწყო და აგრეთ ეს საშინელი არსენალი.

ქალაქ ედეკვუდის მცხოვრებნი—ყველანი: დიდი, პატარა, ქალი და მამაკაცი გადაქცნენ არსენალის მუშებად, რომელნაც ამზადებენ უამრავ საწამლავ ნივთიერებას კაცობრიობის მოსასპობად.

რომ გადავხედოთ თუ რა ნივთიერებანიც იხმარება საწამლავ ნივთიერების მისაღებად და სულ მილიონ ფუთებში.

ედეკვუდის არსენალში საწამლავ ნივთიერებების მიღების შემდეგ სწარმოებს ავიაქიმიური, არტილერიის „ირიმფრქვევების ყუმბარების ავსება ამ ნივთიერებებით და ათავსებენ შემდეგ საწყობებში.

არსენალში მუშაობის ტექნიკა იმდენათ არის განვითარებული, რომ ყველაფერი კეთდება მანქანების საშუალებებით. დღეში მზადდება რამოდენიმე ათასი ყუმბარა და ინახება. ადამიანის მსხვერპლი მუშაობის დროს შედარებით მცირეა.

1918 წელს 6 თვის მუშაობის განმავლობაში მუშების მოწამვლის მსხვერპლი იყო—925 კაცი. ამათში 3 გადაიცვალა.

ამრიგად 1918 წლის განმავლობაში ედეკვუდის არსენალმა მიიღო საწამლავი ნივთიერება შემდეგი რაოდენობით:

ქლორი — 140 ათასი ფუთი.
ბრომი — 15 „ „
ფოზგენი— 80 „ „

საგრთო რიცხვი დამზადებულ ნივთიერებისა უდრის 860 ათას ფუთს ერთი წლის განმავლობაში.

ასეთი მუშაობა სწარმოებდა ამერიკაში არსენალის აგების პირველ წელს და ვინც იცის თუ რა გიგანტიური ნაბიჯით იზრდებოდა და იზრდება ამერიკის ტექნიკა, მას შეუძლია წარმოიდგინოს არსენალის დღევანდელი მდგომარეობაც.

ზემო აღნიშნულიდან ნათელია ამერიკის ბურჟუაზიის „მშვიდობიანი“ განწყობილება; მხოლოდ უგნური ადამიანი დაუჯერებს მათ, რომ ისინი მშვიდობიანობაზე ფიქრობენ და ომისათვის არ ემზადებიან.

თუ კი ეს ასეა, ჩვენც უნდა ვიცოდეთ და ვემზადოთ მათთან საბრძოლველად; უნდა ავაღორძინოთ ჩვენი ავიაქიმიური წარმოება, ენერგიულად მოვკიდოთ ხელი და რევოლიუციონური ენტუზიაზმით შევისწავლოთ მომავალი ომის წარმოების წესები, რაც გამარჯვების თავდები იქნება, როდესაც შეეებრძოლებით კაპიტალს მისივე აგებული ედეკვუდის არსენალის საშუალებით.

კ. გამრეკლიძე.

ახალწვეული ცვალებადელები ენერგიულად მეცადინეობენ

ცვალებადელები ჩაებენ ყაზარმულ ცხოვრებაში.

მეორე საგაუბიცო დივიზიონი.

დიდი ხანი არ არის, რაც ითელ ყაზარმაში თავი მოიარეს 1903 წელში დაბადებულ ცვალებადელებმა.

მათ შორის 75 პროცენტი ლეხები და მუშებია, ხოლო ანარჩენი 30 პროცენტი კი ოსამსახურეებია და სხვა.

ამრიგათ ჩვენ ვხედავთ, რომ ვენთან ცვალებადელთა რიცხვში უფრო მეტია მუშურ-ლეხური ელემენტი, ვიდრე სხვა.

აღსანიშნავია ის გარემოება, ცვალებადელებს არ გავრებიათ ყაზარმულ ცხოვებაზე შეჩვევა.

ამით მოსცლისთანავე შეუდ-ენ ყოველივე საჭირბოროტო ითხვების გადაჭრას და ერთ-ულოვანთ ჩაებენ მუშაობაში.

ყველა დიდის ყურადღებით კიდებიან მომჭირნეობის და-ვას.

მომჭირნეობის რეჟიმის კამ-ანია დიდის წარმატებით ტა-დება ჩვენთან. ცვალებადელ ითელარმიელებმა შეიგნეს ამ ლოზუნგის სიღიადე და ყოველ ბრივ ცდილობენ მის ცხოვ-ებაში გატარებას.

28 მაისს გაიმართა ადგილო-ივ კლუბში საგაუბიცო დი-ზიონის ცვალებადელების სა-ერთო კრება, სადაც იქნენ არ-ჩეული: ახალი კლუბის გამგეობა და კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგია.

ამორჩეული ამხანაგები მეორე დღესვე შეუდგენ დავალებების ცხოვრებაში გატარებას.

კლუბში თანდათანობით ყალიბდება ლენკუთხე, სამხკოთა წრე, ფიჭკულტურის წრე და სხვა. ამ წრეებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს.

ლენინის კუთხეებში თითქმის ყოველ საღამოობით ტარდება საუბრები და ხმამაღლა კითხვა.

ცვალებადელები ყოველთვის ბლომათ ესწრებიან და უსმენენ ყურადღებით.

დაარსდა აგრეთვე წერა-კითხვის უცოდინართა წრეები ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე, რისთვისაც გამოწვეულ იქნენ სპეციალურად მასწავლებლები.

ერთია მხოლოდ, პური ჩვენ გამხმარი გვეძლევა, რაიც უკმაყოფილებას იწვევს წითელარმიელთა მასაში.

იმედია, ეს ნაკლი მალე გამოსწორდება.

გ. ულენტი.

რემედასის წრის მუშაობა

6-ე ლეგიონის უმცროს მეთაურთა სკოლა

ჩვენს სკოლაში არსებობს რემედასის წრე, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ბ. მიქაია. უნდა ითქვას, რომ რემედასის წრის მუშაობა ჯერ-ჯერობით ვერ არის სათანადო დონეზე დაყენებული. ამის უმთავრესი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ეს წრე დიდი ხანი არ არის, რაც დაარსებულია და მან ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო მუშობის უფრო მეტად გაფართოება.

თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ ამხ. ბ. მიქაია შესძლებს თანდათანობით ჩვენი რემედასის წრის მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას. იგი ამისთვის არ იშურებს თავის ენერგიას და ცოდნას. ძლიერ ხშირათ აწყობს საუბრებს და ჩვენ ამხანაგებს აძლევს ახსნა განმარტებას ყველა იმ საკითხებზე, რომლებიც შეეხებიან რემედასის მიზნებს და ამოცანებს.

ს. მეძველია.

ჩვენი მუშაობა

6-ე ლეგ. 5 ასეული

ასეულში თავი მოიყარა მაზრებიდან ჩამოსულმა ცვალებადელებმა. ამ ჟამათ ისინი დიდი ხალისით და ინტერესით სწავლობენ, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ საგნებს. ცვალებადელთა სამხედრო და განსაკუთრებით კი საერთო კულტურული დონის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლათ, ჩვენს ასეულში დაარსებული იქნა სხვა და სხვა წრეები. სახელდობრ დაარსებული იქნა შემდეგი წრეები: 1) წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრე, 2) პოლიტსაათის, 3) პოლიტბირთვი, 4) სამხედრო ბირთვი და 5) ხმამაღლა მკითხველთა ჯგუფი. ამ წრეებში ამ ჟამათ გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს და თან ცვალებადელთა ფართო მასას იზიდავს თავის მუშაობაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ხელმძღვანელობა, რომელსაც საერთო მუშაობაში ეწევა უფროლიტშემადგენლობა. მათთან ცვალებადელთა „ქვაბი“ კარგია. მათ შორის არსებობს ამხანაგური განწყობილება.

შ. ნაცვლიშვილი.

სამხკოროკ!

თვალსაჩინო ადგილი:

როგორ მიმდინარეობს შენი ნაწილის სამეურნეო ცხოვრება, როგორი სადილი მზადდება, როგორ უყლიან წითელ არმიელები ტანსაცმელს, იარაღს, ფიხსაცმელებს, ხომ არა აქვს სადმე ადგილი ზედმეტ ხარჯებს.

საგანაკო სწავლება და ცხოვრება

დავიწყეთ საველე მომზადება

მე-2 ლეგ. მე-9 ასეული.

ერთი კვირა გავდა მას შემდეგ, რაც ასეული შეუდგა საზაფხულო მეცადინეობას, რაც გამოიხატება საბრძოლო სამსახურის მომზადებაში, როგორც სამხედრო ისე პოლიტიკურად.

პოლიტსაათები შეგვიმცირეს. უფრო სერიოზული ყურადღება ექცევა მომზადებას სამხედრო საქმეში, ყოველდღიურად მიდის მეცადინეობა 8 საათი. პოლიტსაათი კი კვირაში სამჯერ გვაქვს ორ-ორი საათი. მიუხედავათ ამისა ზ. არმიელები მაინც მტკიცედ ეკიდებიან პოლიტ-ცოდნას და არც ერთ წუთს არ კარგავენ ისე, რომ კამამეში არ იყვნენ გართული სხვა და სხვა საკითხების გასაშუქებლად.

სამხედრო მომზადებას ზ. არმ. ენერგიულად ეკიდებიან და დაინტერესებულიც არიან შეისწავლონ საველე სამსახური.

ასეული როგორც დღით ისე ღამითაც აწარმოებს მეცადინეობას სალაშქრო წესით; სწარმოებას ჯერ-ჯერობით ათეულის მომზადება. ღამის მეცადინეობაზე ზ. არმიელები ხალისით მიდიან. მეცადინეობა უმთავრესად გვიხდება მთა გორიან ადგილებზე სხვა და სხვა გვარი საბრძოლო მომზადებისათვის. მეტის-მეტ გეჯითობას იჩენენ აგრეთვე ასეულის და ოცეულის მეთაურები.

მძიებელი.

მეთაურთა სკოლა განაკად.

ჩვენი სკოლა 20 მაისს გავიდა ბანაკში. სისტემატიური მეცადინეობა კი 22 მაისიდან დავიწყეთ. ცხრილის თანახმად 4 საათი უნდა იყოს ჩვენს განკარგულებაში დასასვენებლად, მაგრამ ამ პირველ ხანებში იმდენათ ვართ დატვირთული მუშაობით, იმდენი რამის გაკეთება გვიხდება, რომ ერთი საათიდაც ვერ ვცლილობთ დასასვენებლად. ყოველთვის ხაზზე ვიმყოფებით და ვმუშაობთ.

აქედანვე შეუდექით სამხედრო საქმეში პრაქტიკულად მთელი კურსის გავლას. ამას გარდა დიდ მუშაობას ვაწარმოებთ სკოლის გარეშე საქმიანობის დარგშიც. მართალია კურსანტები დიდი ხალისიანობით ეკიდებიან ერთ მუშაობას, მაგრამ საჭიროა მაინც, რომ მოხდეს ნაწილობრივი განტვირთვა, რომ თავისუფალ საათებში შესძლოთ შემდეგი მეცადინეობისათვის მომზადება.

შ. ქმიტირელი.

კარგი ყურადღება გვექცევა.

1-ლი ლეგიონის, 1-ლი ათასეული ბანაკათ არ გასულა. ამიტომ 1-ლი ათასეულის კმაყოფაზე აყვანა დაეკალა მე-6-ე ლეგიონს,

უნდა ითქვას, რომ მე-6-ე ლეგიონი მეტათ კარგათ გვიზადებს საჭ�-სასმელს, რის გამო ჩვენი ათასეულის წითელ არმიელები კმაყოფილი არიან.

კარგი დამოკიდებულება არსებობს აგრეთვე ცვალებადელებსა და კადრის წითელ არმიელებს შორის. ხშირათ ხდება მათ შორის საუბრების მოწყობა სხვა და სხვა საკითხებზე აქვე აღსანიშნავია 1-ლი ათასეულის მეთაური ამხ. ჯაფარიძის მუშაობა.

ის კარგათ ასრულებს თავის მოვალეობას და წითელ არმიელების ყოფა-ცხოვრებას სათანადო ყურადღებას აქცევს. მაგალითად: ამხ. ჯაფარიძე ყოველდღიურათ ათვალიერებს წითელ არმიელთა ბინებს და სათანადო ზომებს ღებულობს სისუფთავის დაცვის მიზნით. გარდა ამისა ჩვენს ათასეულს ამხ. ჯაფარიძემ მოუწყო ცალკე სასადილო. საერთოდ ამხ. ჯაფარიძე ღირსია დიდი მადლობის თავის მუშაობისათვის.

კონკათელი.

ხელს გვიშლის ფვიმეები

ცხენ. ლეგიონი

სულ რამოდენიმე დღეა, რაც ცხენ. ლეგიონი ჩამოვიდა ბანაკათ. მიუხედავათ ამისა მუშაობა მაინც გაცხოველებულად მიმდინარეობს. ჩამოსვლისთანავე შეუდექით ლენინის კარგების, კლუბის და სამკითხველოს მოწყობას. გამოვიდა ესკადრონების მაშტაბით კედლის გაზეთები, რომლებიც აშუქებენ სანაკაკო ცხოვრებას. გაცხოველდა ლენკუთხეებში მეცადინეობა. სწარმოებს აგრეთვე ყოველ სალამოობით სხვა და სხვა წრეების მეცადინეობა. ვსარგებლობთ ბიბლიოთეკიდან წიგნებით. ვდებულობთ თავის დროზედ გაზეთებს და მიუხედავათ იმისა, რომ წითელ არმიელების უმრავლესობა არ იყვნენ შეჩვეული სანაკაკო ცხოვრებას, ისინი მალე შეეჩვიენ ბანაკს და მუშაობა კარგათ მიმდინარეობს. ვატარებთ სანიტემატიურათ კვირაში სამჯერ პოლიტსაათს, სადაც გავდივართ საზაფხულო პერიოდის პროგრამას. დაიწყო აგრეთვე მეცადინეობა სამხედრო დარგში. მხოლოდ ამ მხრივ მეცადინეობას ძალიან უშლის ხელს ყოველ დღიური წვიმები და სიცხეა, რომელიც დღიდან ჩვენი აქ ჩამოსვლისა დღემდის გრძელდება და ძლიერ დაასუსტა ცხენები. ამ მხრივ ბრიგადაში იყო ცხენების საკვდილის შემთხვევა და თუ ასე გასტანა რამოდენიმე ხანს ცხენებს მოელის საშიშროება, თუ გამონახული არ იქნა რაიმე საშვალება.

საჭიროა ცხენებს გაუკეთონ ზევიდან გადასაფარებელი ტილოები ან სხვა რაიმე.

ი. ზენოშვილი.

ლენკუთხე და სკოლის გარეშე მუშაობა ჩვენთან

მე-6 ლეგ. მე-2 ათასეული.

ათასეული შევსებული იქნა 1903 წელში დაბადებულ ცვალებადელებით. ჯერ კიდევ ასეულები არ იყო დაბინავებული, როდესაც დაიწყო ლენკუთხეების მოსართავად სამზადისი ათასეულის 4-ვე ასეულებში.

ამ დროიდანვე ასეულებში ცალ-ცალკე, საერთო კრებების მიერ არჩეული იქნა ლენკუთხის პრეზიდიუმი 5—7 კაცისაგან შემდგარი. პრეზიდიუმში შევიდენ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც. პრეზიდიუმის თითეულ წევრზე განაწილებული ნაწილობრივ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნაციონალური უმცირესობათა შორის სამუშაოდ გამოყოფილ ხელმძღვანელებს.

ლენკუთხეებში არის მოწყობილი, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო და საერთო განყოფილებები, რომლებიც დაკმაყოფილებულია სათანადო შერჩეული ლიტერატურით. მოგვდის საკმაო რიცხვი გაზეთებისა. ლენკუთხეშ, როგორც სკოლის გარეშე მუშაობის ცენტრმა, ასეულში შესძლო ცვალებად შემადგენელთა მასის შესწავლა, თვით გამოკვლევა და აქტივთა კადრის შექმნა, რის შემდეგ ჩამოყალიბებული იქნა ასეულებში სამ-სამი ბირთვები, როგორიც არის პოლიტ-სამხედრო და მკითხველთა ბირთვი.

ბირთვებში უფროსთა შემადგენლობასთან ერთად ჩაებენ ახალწვეულთა მთელი შემადგენლობა. აქტივთა „კადრიდან მოკვდეს ლეგიონის კლუბის გამგეობიდან თვიური სამუშაო გეგმა, რომელსაც იხილავს ათასეულის ლენკუთხეების პრეზიდიუმის გაერთიანებული კრება, რის შემდეგ, საკითხები ნაწილდება ბირთვის თითეულ წევრებზე დასამუშავებლად, ბირთვებში და შემდეგ კი წითელ არმ. მასაში. ახალწვეულთა შორის უფრო ხალისს იწვევს სამხედრო და პოლიტიკურ ცოდნის შეძენა.

ხშირად გაისმის ცვალებად შემადგენლობისაგან ლაპარაკი იმაზე, რომ წითელ ჯარში კულტურულ განვითარების მიღება ადვილი ყოფილა. და თუ —„ნებას დამრთავენ სულ არ წავალ სახლში“-ო; აქედან გამომდინარეობს ის, რომ წ. არმიელთა მასაში იდვიძებს სამხედრო და პოლიტიკური ცოდნის სურვილი. მხოლოდ სჭირია ბირთვების ხელმძღვანელთა მეტი ენერგია, მეტი სიმპატია და ავტორიტეტის მოხვეჭა წ. არმ. მასის შორის.

ი. ჭოჭუა.

ჩვენც მოგვეძცა ყურადღება

ოთ. სამხედრო გოსპიტალი. ამ უკანასკნელ ხანამდე გოსპიტალში არ მოგვდიოდა გამოთ,ი მაგრამ სამხკომმა ყურადღება მიიქცია ამ გარემოებას და დაკმაყოფილებული იქნა ადმეყოფ და მოსამსახურე წითელ არმიელების სურვილები. ამჟამად მოგვდის ყველა გაზეთები, რომლებსაც გულმოდგინეთ კითხულობენ ამხანაგები.

წერა-კითხვის უცოდინართა და სუსტად მცოდნეთათვის ვაწყობთ ხმამაღალ კითხვას და ამნაირად მათაც ვაცნობთ ,სხვა და სხვა ამბებს.

მ. რამიშვილი.

სამხკორის კუთხე

რაზედ უნდა ვსწერეთ

ჩვენი სამხკორები ხშირად ვერ ნახულობენ შესაფერ თემას კორესპონდენციების წერისთვის. ამ სენით ბევრია შეპყრობილი. რაზედ უნდა ვსწერო?—ეს ყველაზე უფრო მტკივნეული საკითხია სამხკორის ასპარეზზე პირველად გამოსული ამხანაგებისათვის და ხშირად ძველი სამხკორებისთვისაც. ამის გამო ბევრი წერილები იწერება ისეთ წვრილმანებზე, რომ ისინი ასეულისთვისაც არ წარმოადგენენ საინტერესო საკითხებს და მით უმეტეს უმნიშვნელოვანი არიან ისინი ლეგიონისა და საერთოდ წითელი ჯარისთვის.

ყოველთვის თემების ამორჩევის დროს უნდა გამოვდიოდეთ შემდეგიდან: რა არის ამ ამამად ყოველდღიური მნიშვნელობის, რას ეძლევა ნაწილში უმთავრესი ყურადღება. მაგალითად, ამ ჟამად დიდ მნიშვნელოვანი საკითხებია:

— საზაფხულო — საბანაკო პრაქტიკული მუშაობა და სწავლება;

— მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლა, რამდენად მიუახლოვდა კომუჯრედი წითელ არმიელთა შორის წარმოებულ მუშაობას და მრავალი სხვა.

თუ სამხკორს ეცოდინება ეს მეტად მნიშვნელოვანი, ყოველ დღიური საქრმოროტო საკითხები, მაშინ მას ადვილად შეეძლება წერილისთვის საქმრო თემის მოძებნა.

მაგალითად საზაფხულო პრაქტიკული სწავლების შესახებ წერილში შეიძლება ვსწეროთ საბანაკო პოლიტმეცადინეობის, ველში გასვლის და ლენინის კუთხეებში საღამოობით წარმოებული მუშაობის შესახებ. ყველაფერი ეს იქნება საბანაკო პრაკტიკული ხასიათის მუშაობა.

წერილებში მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ, შეიძლება გავაშუქოთ ყველა სამეურნეო ნაკლულოვანებანი, მეურნეობის კარგი მხარეები, მიღწეული გაუმჯობესებანი ნაწილის მეურნეობაში და მრავალი სხვა.

ასევე შეიძლება დაიყოს მთელ რიგ თემებად, კომუჯრედის მუშაობა წითელ არმიელთა შორის: საუბრები ლენინის კარავში, კრებები, პარტიისა და კომკავშირში შესვლა, კომუჯრედის ავტორიტეტიანობის მაგალითები და ასე შემდეგ.

გარდა ამ ძირითადი საკითხებისა, ნაწილში ყოველთვის აქვს ადგილი სხვა საჭირბოროტო საკითხებს, რომლებიც გამოდგებიან გაზეთებში გასაგზავნ კორესპონდენციების თემებისათვის. მაგალითად, დაკავშირების დღეები, შეჯიბრებანი, საინტერესო კრებები და ბევრი სხვა. აქ თვითონ სამხკორმა უნდა გამოიცნოს რომელი მათგანი იქნება უფრო საინტერესო გაზეთისათვის.

ხშირია შემთხვევები, რომ ჩვენი სამხკორები ძლიერ აგვიანებენ ნაწილში რაიმე საინტერესო მოვლენის შესახებ წერილებს. დაგვიანებულ წერილს ეკარგება ღირებულება. საჭიროა სამხკორები ჩქარა გვაწვდიდენ მნიშვნელოვან საკითხების შესახებ წერილებს.

ამის გარდა არის შემთხვევაც, რომ ერთდაიმავე საკითხზე ერთი, რომ დღეს მოგვაწვდის წერილს და მოვთათავსებთ, ასევე ხასიათის წერილს გვიგზავნის მეორე ამხანაგი იმავე საკითხზე და იმავე ნაწილიდან. ცხადია ამხანაგს ან არ წაუკითხავს გაზეთი (რაც მიუტევებელია) და ან წაიკითხა, მაგრამ მაინც სწერს და ზედმეტად ხარჯავს დროს როგორც თვითონ, ისე რედაქციასაც ერთმეს მნიშვნელოვან წუთებს.

ეს გარემოებანი მხედველობაში უნდა მიიღონ ჩვენმა სამხკორებმა და შეეჩვიონ დროს დაფასებას.

ო.

უსუფთაოება გვაწუხებს.

20 მაისს ქართულ მეთაურთა სამხ. სკოლა ბანაკთ წავიდა. ყოველგვარი მუშაობა სათანადოთ მიმდინარეობს. მაგრამ სამზარეულო კი ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. ჩვენ სამზარეულოში მზადდება დაახლოებებთ 400 სულის საკვები და იმის მაგივრათ, რომ საქმელ-სასმელი სუფთად იყოს მოტანილი—ყოველთვის უსუფთაობით ხასიათდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც საქმელებში შეგხვდებათ ქვიშის მარცვლები, მიწის ნამეტეები და მატლებიც კი. ეს გარემოება აიხსნება სამზარეულოს მოსამსახურეების დაუდეგრობით. გარდა ამისა, არც დანა, თეფში და სადილისათვის სხვა საჭმარი იარაღები არ არის დასუფთავებული. ყველა ესენი გაჟანგულია და მას არავინ არ სწმენდს.

საჭიროა ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მიექცეს. ასეთი უსუფთაობით ავადმყოფობის გაჩენაა მოსალოდნელი. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს შემდეგი: ყოველ დღიურათ სადილის დასრულების შემდეგ, რჩება საკვები სუფსათის ნარჩენები, დაახლოებებთ 5 ფუთამდე. იმის მაგივრათ, რომ ეს დანარჩენები იყიდებოდეს და მისგან შემოსული ფული ხმარდებოდეს სამზარეულოში სუფთავის დამყარებისათვის, არავინ არ იცის სად მიდის იგი. საჭიროა ამასაც ყურადღება მიექცეს.

ზ. ძვიტირელი.

თუ არ გვიმატებენ ნუ შეგვიმცირებენ მაინც.

უკვე ოცი დღეა რაც ჩვენი ლეგიონი ჩავიდა ბანაკში. როგორც საერთო წესია, ბანაკში გასვლის შემდეგ წითელ არმიელებს უმატებენ ულუფას, მაგრამ ჩვენს ნაწილში სამწუხაროდ პირიქით ხდება. სამნეო ნაწილმა საგრძნობლად შეგვიმცირა ულუფა. სადილათ შემოღებული იყო ორი თავი (ბორში და სოუზი) საღამოობით კი გვეძლეოდა ქაში. ეხლა გვეძლევა მხოლოდ ერთი თავი და ისიც შემცირებული ნახევარ ულუფამდე. წითელ არმიელები მშივრები რჩებიან ნახევარჯერ.

საჭიროა მოგვაქციონ ყურადღება, რომ გაგვიდიდეს ულუფა.

არტორიქსი.

დაგვიხსენით ფულისაგან.

ცხენ. ლეგიონში არსებობს ლენინის კუთხე. ამ კუთხისთვის სათანადო ლიტერატურა და წიგნები იქნა შეძენილი, მაგრამ უბედურება სწორედ იმაშია, რომ ამ წიგნების მოვლა არ არის კარგ დონეზე დაყენებული. იმ ოთახში, სადაც ეს კუთხე არის მოწყობილი, წვიმა ჩამოდის. ასე, რომ წვიმისაგან მთელი კუთხე ფუჭდება. ამასთანავე თვითონ სახურავიც ლპება. ამ მოვლენის აღმოსაფხვრელათ არა ერთხელ მიუქცევიათ ყურადღება იმისა, ვისაც ჯერ არს, მაგრამ მან ამისთვის სათანადო ზომები მაინც არ მიიღო. ამიტომ საჭიროა, რომ თვით სამნეო ნაწილის უფროსმა მიიღოს სასწრაფო ზომები და დაგვიხსნას ლენინის კუთხე განადგურებისაგან.

პ. კახიძე.

მოგვეცით სარტყლები.

საკავშირო 2-რე ლეგ. გუნდის, 1925 წლის ოქტომბერში გამოწვეულ წითელარმიელებმა, სხვა ტანსაცმელთან ერთად მივიღეთ სარტყლებიც. თვენახევრის ტარების შემდეგ, ლეგიონის სამნეო დარგის უფროსის ბრძანებით ჩამოგვართვეს და დაგვირიგეს ტილოს ქამრები. ცოტა ხნის ტარების შემდეგ, ტილოს ქამრები დაიხა, და დავრჩით უქამროთ. ჩვენგან ჩამოართმეული ქამრები არის შენახული. ხოლო მომდინარე წელს, აპრილის თვეში მე-2 ლეგიონს ესტუმრა დივიზიის სამხედრო კომისარი ამხ. კვირიკაძე, რომელმაც გიგიო ჩვენი მდგომარეობა და გასცა ბრძანება, რათა ჩვენთვის მოეცათ სარტყლები, მაგრამ დღემდის არაფერი მიგვიღია.

დ. ბოჯგუა.

უცხოეთის არმიებში

რამდენი ჰაეროპლანი აქვს ამ უამად ინგლისს

ინგლისის საჰაერო ფლოტში იმყოფება ამ ჟამად 55 ესკადრილია. თითეული ესკადრილიაში შედის 12 ჰაეროპლანი. ამას გარდა არსებობს აგრეთვე ე. წ. სამარქაფო ესკადრილია 90 ჰაეროპლანით. სულ ინგლისის განკარგულებაში არის 750 საბრძოლო ჰაეროპლანები. უკანასკნელი ოთხი თვის განვამლობაში დაიღუპა 22 ჰაეროპლანი.

„ყველაფერი ვერ არის თავის რიგზე"

მუშაობა საყოველთაო გაფიცვის დროს ინგლისში, გენერალური შტაბის სახელით პარლამენტში გამოვიდენ 2 ოფიცერი, რომლებმაც განაცხადეს, რომ „შინა უდიდებულესების არმიისა და ფლოტის რიგებში ყველაფერი ვერ არის თავის რიგზე"-ო, რადგან არმიისა და ფლოტში ძლიერ იკიდებს ფეხს კომუნისტური პროპაგანდა.

რამდენი ღირს ტანკი

ვიკერსის სისტემის ტანკი, რომლებითაც შეიარაღებულია ინგლისის არმია ღირს თითო 90.000 მანეთი.

ამ ჟამად ფრანგ პოლკოვნიკ ვერანლიმ შეადგინა ახალი გოლიათი—ტანკის პროექტი, რომელსაც ვერაფერი ვერ დაუმაგრდება და ოდნავ ზიანსაც ვერ მიაყენებს 12 დიუიმიანი ბურვებიც კი.

ამ მოძრავი სიმაგრის წონა უდრის—600 ტონს (36.000 ფუთს). იმოძრავებს ძლიერ ნელა და ეღირება 6 მილიონი ფრანკი. (ოქროს ფრანკი უდრის—37 კაპ.)

საზღვაო—საჰაერო ბრძოლა

სხვადასხვაგვარ შეიარაღება სთან ერთად ბურჟუაზიული სახელმწიფოები დიდ ყურადღებას აქცევენ თავის საზღვაო ფლოტის შეიარაღების საქმეს.

პირველ რიგში აუარება ხარჯებს იღებენ საზღვაო ფლოტისათვის **ინგლისი, ამერიკა, იაპონია, საფრანგეთი** და **იტალია.**

ხუთ წლიან პროგრამაში მათ გათვალისწინებული აქვთ შემდეგი საბრძოლო ერთეულების დამზადება:

კრეისერები	— 60
ავიომზიები	— 9
წყალქვეშა ნავები	— 142
ნაღმოსნები	— 150

ყველაზე მეტს ამ მხრივ ამზადებს საფრანგეთი (123 გემი) შემდეგ მოდის ინგლისი (83 გემი) და იაპონია (92 გემი).

პასუხი შეკითხვებზე

— რაზმაძეს. თუ თქვენ დაბადებული ხართ 1908 წ. უნდა გამოარკვიეთ მაჩ-ს საშუალებით, თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ მიმართეთ თთავარ მიმლებ კომისიას, ვინაიდან თქვენი წელი ჯერ არ არის გაწყვეტული.

— მარუაშვილს. გეკუთვნით ორი კვირის.

— რამიშვილს. მიმართეთ თქვენს უფროსს.

— გიგაურს. შეგიძლიათ მხოლოდ უფროსის ნებართვით, უშუალოდ არა.

— სამანაშვილს. ვინაიდან თქვენი დედა შრომის უნარს მოკლებული არ არის და იმყოფება თქვენი ძმის რჩენაზე, ამიტომ მას არავითარი დახმარება არ მიეცემა.

— იაკობაშვილს. თუ თქვენი მიწა იჯარით გაეცით, მაშინ მოიჯარადრე ვალდებულია ყველა გადასახადი გადიხადოს. (მიწის კოდექსი მუხ. 35).

— ორ—ძეს. წინასწარ ადგილის დაკავება მუშეაკში არ შეიძლება. თუ მოხვედით იმ რიცხვში, რომელიც ნაწილის მიერ გაგზავნილი იქნება, მაშინ მიიღებული იქნებით.

— ბე—ძეს. მიწის ჩამორთმევა იმისთვის, რომ თქვენ იჯარით გაეცით არ შეუძლიათ, რადგან წითელ არმიელს უფლება აქვთ მიწა გასცენ იჯარით (ბრძანება № 1520—24 წ.) მიმართეთ მიწის კომისიას.

— მათხოჯელს. არ გერგებათ.

— მ. ა. უნდა მოგეცეთ უფასო საექიმო დახმარება.

— არაგვისპირელს. შემოდგომაზე.

— კი—ძეს. მოგეცემათ.

—ჩიორას. ტერნაწილში გადარიცხული არ იქნებით.

— ბ—შვილს. ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია.

ჰასუხი სამხკორებს

ქლიბს (3 ლეგ. შტაბში) თქვენი კორესპონდენცია კაკაბეთის შესახებ გადაეცით კედლის გაზეთის რედკოლეგიას.

ომერი მუსერიძე თქვენი წერილი „წითელ არმიელთა უავტორიტეტიანობის შესახებ" მეტად ზოგადი ხასიათის არის. საჭიროა მოგვაწოდოთ კონკრეტიულად ცნობა თუ სად აქვს ადგილი ასეთ მოვლენას. ამ სახით წერილი არ დაიბეჭდება.

ცხენისწყლისპირელს (მე-5 ლეგ.) თქვენი წერილი „მიექცეს ყურადღება" უმნიშვნელოა ჩვენი გაზეთისათვის. წერილი შეგიძლიათ გამოიყენოთ ადგილობრივ კედლის გაზეთისათვის.

შ. რევიშვილი (ტფ. სამხ. გოსპიტალი) თქვენი წერილი რუს წითელ არმიელების ცუდი საქციელის შესახებ, გადაეგზავნა გოსპიტალის კომისარს, შესაფერი ზომების მისაღებათ.

ენბურისპირელს თქვენი საპასუხო კორესპონდენცია ამხ. ჩამორჩენილისადმი, ჯერ ერთი ძლიერ დაგვიანებულია და შემდეგ დაუსაბუთებელიც. არ დაიბეჭდება.

ქიმუნჯს (4 ლეგ.) წერილი „ეს არაა მომჭირნეობა" უსაფუძვლოა. არ დაიბეჭდება.

ზენობნელს (ცხენ. ლეგ.) თქვენი წერილი „სასურველი სტუმრები" არ დაიბეჭდება ასეთი იყო ჩვენს გაზეთში.

სერგო ბანაძეს. (2 მესანგრე ასეული) „**ნიკელს**" (6 ლეგ.) **და ჩხიკვაძეს** (მე-5 ლეგ.) თქვენი კორესპონდენციები: „ექსკურსიის შესახებ", „წითელი ყაზარმა სკოლაა" დი სხვა უნიშვ ელოა. არ დაიბეჭდება. მოიწერეთ სხვაზე.

1-ლ ასეულის საკავშირო ბიბგამგეს: თქვენ მიერ გამოგზავნილი 11 მან. მიღებულია. 10 ც. გაზეთისათვის აპრილის და მაისის გვერგება 8 მანეთი და მაისის 3 მანეთი. სულ თერთმეტი მანეთი.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქართულ ცხენოსან ლეგიონის მე-3 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ შემდეგ წითელ არმიელებს:

1) ნიკოლოზ ილიასძე კოპალეიშვილს (ქუთაისის მაზ. ეწერის თემი), 2) [illegible]ბაში იოსებისძე ტყემალაძეს (შორაპნის მაზ. პერევისის თემი).

ზემო აღნიშნული პირების შესახებ თუ ვინმეს აქვს რაიმე საწინააღმდეგო, გთხოვთ გვაცნობოთ დღიდან გამოცხადებისა ათი დღის განმავლობაში.

ცხენოსან ლეგიონის მე-3 კომუჯრედის მდივანი.

დაკარგე წითელ არმიელის წიგნაკი № 14 2-რე დივიზიის საკავშირო ასეულიდან მოცემული ნიკოლოზ ალექსის ძე შტანკოვის სახელზე. ჩითვალოს გაუქმებულად.

დაკარგე მეტრიკული ამოწერილობა № 2639 სასულიერო საკათალიკოსო საბჭოს მიერ მოცემული ივანე მოსეს ძე მამასახლისოვის სახელზე. ჩითვალოს გაუქმებულად.

რა ღირს 1-ლ ივნისიდან „წითელი არმიელი"!!

ცალკე ხელის მომწერთათვის:

1 თვით — 35 კაპ.
3 თვით — 90 კ.
6 თვით — 1 მ. 70 კ.
12 თვით — 3 მ. 20 კ.

წითელ-არმიელებისათვის ძოლექტიური ხელის-მოწერა არა ნაკლებ 10 ცალისა:

1 თვით — 30 კაპ.
3 თვით — 80 კ.
6 თვით — 1 მ. 50 კაპ.
12 თვით — 3 მ.

ცვალებადელთათვის სოფელში გადაგზავნით იგივე რაც წითელ არმიელებისათვის

ნ. ფ. ს. ფ. სამხედრო სტამბა ეეცხოველის ქ. № 3. პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.